5722026470592
www.ecd.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ

11.12.2019 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე: ლაშა ქოჩიაშვილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილმა განიხილა ს.ს. ,,ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა“-ს კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხი,

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია გადახდისუუნარობის საქმე ს.ს. ,,ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა“-ს მიმართ.

2019 წლის 06 დეკემბერს ს.ს. ,,ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა“-ს რეაბილიტაციის მმართველმა განცხადებით მომართა სასამართლოს კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ იმ გარემოებებზე მითითებით, რომ უზრუნველყოფილმა კრედიტორმა წერილობით მიმართა და მოითხოვა დაჩქარებულ ვადებში კრების ორგანიზება, რეაბილიტაციის გეგმის შესრულების ინფორმაციის განხილვა, ხოლო თუ გეგმის შესრულება შეუძლებელი იყო _ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება. მითითებული საკითხების განხილვის მიზნით მოწვეული იქნა სს ,,ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ სამეთვალყურეო საბჭო, სადაც რეაბილიტაციის მმართველმა წარადგინა ინფორმაცია და გაკოტრების წარმოების თავიდან აცილების საკითხები. აღნიშნულის საფუძველზე რეაბილიტაციის მმართველი ითხოვს კრედიტორთა კრების მოწვევას.

სასამართლომ განიხილა განცხადება, საქმეში არსებული მასალები და მიაჩნია, რომ მოწვეული უნდა იქნას ს.ს. ,,ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა“-ს კრედიტორთა კრება რეაბილიტაციის მმართველის მოხსენების და

რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვის დღის წესრიგით შემდეგ გარემოებათა გამო:

,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ'' საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კრედიტორთა კრება იმართება გადახდისუუნარობის საქმის განმხილველ სასამართლოში. კრედიტორთა კრებას ამზადებს და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს რეაბილიტაციის პერიოდში – რეაბილიტაციის მმართველი. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კრედიტორთა კრების მოწვევისა და მასზე გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება ამ კანონით.

,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ'' საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მიხედვით, დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმის განხორციელებისათვის პასუხისმგებელია რეაბილიტაციის მმართველი. რეაბილიტაციის გეგმის განხორციელებას ზედამხედველობს კრედიტორთა კრება. ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად ნებისმიერ კრედიტორს აქვს უფლება, მიიღოს ან/და გაეცნოს მოვალის წლიურ ანგარიშს, აგრეთვე რეაბილიტაციის გეგმის იმ ნაწილს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ამ კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადასა და პირობებს. რეაბილიტაციის მმართველი ვალდებულია უზრუნველყოფილ კრედიტორებს რეაბილიტაციის გეგმით განსაზღვრულ ვადებში წარუდგინოს ამომწურავი ინფორმაცია რეაბილიტაციის გეგმის მიმდინარეობის შესახებ.

ყოველივე ზემთაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ იხელმძღვანელა ,,გადახდისუუნარობის საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5, მე-7, მე-8, 27-ე, მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. მოწვეული იქნას ს.ს. ,,ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა"-ს კრედიტორთა კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1.1 რეაბილიტაციის მმართველის მოხსენება.

1.2 რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა.

2. კრედიტორთა კრება მოწვეული იქნას 2020 წლის 21 იანვარს 11:00 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის №63 სხდომათა დარბაზში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

3. დაევალოს სს ,,ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის" რეაბილიტაციის მმართველს კრედიტორებისათვის კრების ჩატარების შესახებ შეტყობინებების გაგზავნა, მასვე დაევალოს განჩინების გამოქვეყნება ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" ვებგვერდზე. განჩინება ასევე გამოქვეყნდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში.

4. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის მხარეებს განჩინებაზე

შეუძლიათ კერძო საჩივრის შეტანა განჩინების გადაცემიდან ან გაცნობიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

მოსამართლე: **ლაშა ქოჩიაშვილი**

LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA

Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
DN: cn=LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA, 2.5.4.97=NTRGE-203862622, o=[illegible], c=GE
Date: 2020.01.10 14:57:18 +04'00'